გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2017-2018 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

პროექტი მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობას.

2. **თემატიკა:**

„მონაწილეობითი ბიუჯეტი“

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

გურამ მელიქიძე, ახალციხის მერის პირველი მოადგილე. ტელ: 591 44 97 97; ელ.ფოსტა: guram.melikidze@gmail.com

ლევან მიქაბერიძე - მთავარი სპეციალისტი ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში, ტელ: 591 44 96 46, ელ.ფოსტა: levani@hotmail.co.uk

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

გამოწვევა - საქართველოში დემოკრატიის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი. არსებობს არაერთი საერთაშორისო კვლევა, რომლის თანახმად, კვლავ გამოწვევად რჩება მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობების გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი ნდობის გაზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის მიმართ.

წარსული გამოცდილება - საკრებულოს სხდომები ტარდება ღიად და საჯაროდ, მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და თანამდებობის პირებისგან, საკრებულოს სხდომის ოქმები არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი, უფლება აქვთ წინასწარ გაეცნონ პროექტებს და მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში, ხდება ანგარიშის ჩაბარება გაწეული სამუშაო შესახებ, ხდება ბიუჯეტის საჯარო განხილვა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმების განხორციელება.

პასუხი არსებულ გამოწვევაზე - ახალციხის მუნიციპალიტეტში, 2018 წლიდან დაინერგა დამატებითი, ელექტრონული მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეთა ჩართულობას ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, რადგან ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, რაც ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აღებული ვალდებულებებითაც დასტურდება.

ახალციხის მუნიციპალიტეტში ახალი სისტემის დანერგვა კარგი მაგალითია ურთიერთთანამშრომლობით წარმატებული და ინოვაციური პროდუქტის შექმნის, როდესაც ადგილობრივი მთავრობა, არასამთავრობო სექტორი, საერთაშორისო პარტნიორი და დონორი ორგანიზაცია ერთად ქმნიან მნიშვნელოვან პროდუქტს.

აღნიშნული მექანიზმის საშუალებით, მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონულად წარადგინონ მათთვის სასურველი წინადადებები/პროექტები/ინიციატივები და შემდგომში თავად მისცენ ხმა მათ, ხოლო ყველაზე რეიტინგული წინადადება/პროექტი/ინიციატივა გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ადგილობრივ ბიუჯეტში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობის როლს ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

5. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

მუნიციპალიტეტის დასახელება: ახალციხის მუნიციპალიტეტი
გეოგრაფიული მდებარეობა: მუნიციპალიტეტი მდებარეობს ახალციხის ქვაბულში, უჭირავს მტკვრისა და ფოცხოვის ხეობები. ახალციხის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხარაგაულისა და ბორჯომის, აღმოსავლეთიდან -ასპინძის, ხოლო დასავლეთიდან - ადიგენის მუნიციპალიტეტი. სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო – თურქეთის სახელმწიფო საზღვარს.
მოსახლეობის რაოდენობა: 39,3 ათასი
ახალციხის მუნიციპალიტეტი - საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარის, მდიდარი ისტორიული წარსულით ცნობილი რეგიონის - სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური, კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრია. ახალციხის მუნიციპალიტეტში შედის ადმინისტრაციული ცენტრი, 45 სოფელი და ერთი ქალაქის ტიპის დასახლება.

6. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, საიდანაც ძირითადად განვითარებულია: მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეკარტოფილეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურებიც. მუნიციპალიტეტში მოქმედებს რძის და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები, მეფრინველეობის ფაბრიკა, საკალმახე მეურნეობები, ასევე აქტიურად ხდება ინერტული მასალების მოპოვება და გადამუშავება. აგრეთვე ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტურიზმს, რომელსაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ღირსშესანიშნაობები.
ბიზნეს სუბიექტის რაოდენობა - 6510 , მ.შ. აქტიური - 1696 საწარმო.
ბიზნეს სექტორის წარმოებული საქონელი და მომსახურება: 169,1 მლნ. ლარი.
უმსხვილესი ინვესტიციები: ჰესის მშენებლობა, ,,სამხრეთ საქართველოს გაზსადენის გაფართოების პროექტი", შავი ზღვის ელექტრო გადამცემი ხაზის პროექტი, ელექტრო გადამცემი ხაზის ,,ახალციხე-ბათუმის" მშენებლობა, ბეტონისა და რკინა-ბეტონის წარმოება, ასფალტო-ბეტონის წარმოება.
ახალციხის მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა საბადოებით. სოფელ მუსხის მიდამოებში არის დიატომიტის საბადო, სოფელ ბოგასა და გიორგიწმინდაში - ახალციხის აქატის საბადოები, ხოლო ვალესა და ნაოხრების მიმდებარე ტერიტორიაზე არის ახალციხის მურა ნახშირის საბადო.
აღსანიშნავია წყალთბილას გოგორდოვანი თერმული წყლები, აგრეთვე ურაველისა და გურკელის მინერალური სამკურნალო წყლები, ფერსისა და ტატანისის მინერალური სასმელი წყლები.

შიდა ფაქტორები: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას მუნიციპალიტეტის საქმიანობის პროცესში, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვასა და აღსრულებაში. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი იყენებს ყველა მის ხელთ არსებული რესურსს, როგორც ადამიანურ, ასევე ფინანსურ, იმისათვის, რომ მიაღწიოს აღნიშნულ მიზანს.

გარეშე ფაქტორები: ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭირვალობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია, USAID GGI-ს, IDFI - ს და ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიის მხარდაჭერით ახორციელებს - ვოლისის სისტემის დანერგვას. პროექტის განხორციელება მიზნად ისახავს ღია მმართველობის პარტნიორობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
აქტივობათა გეგმა/გრაფიკი:

- მოსახლეობის **ინფორმირებულობა** ახალი პროექტის შესახებ: 2018 წლის იანვარი - თებერვალი; (დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები, მომზადდა ვიდეო რგოლი, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ახალი წინადადების/პროექტის/ინიციატივის წარდგენის, ხმის მიცემის პროცედურების და სხვა პრაქტიკული ინფორმაციის შესახებ)
- წინადადებების/პროექტების/ინიციატივების **მიღება:** 2018 წლის თებერვალი - მაისი;
- შემოსული წინადადებების/პროექტების/ინიციატივების **განხილვა:** 2018 წლის 21-28 მაისი;

წინადადებების მიღება დასრულდა 2018 წლის 20 მაისს. სულ მიღებული იქნა 78 წინადადება, რომელთა უმრავლესობაც შეეხებოდა ინფრასტრუქტურულ პრობლემებს.

სამუშაო ჯგუფმა განიხილა 78 შემოსული წინადადება და მიიღო გადაწყვეტილება დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით: 38 წინადადება გადავიდა არქივში და 40 წინადადება გადავიდა ხმის მიცემის რეჟიმში. ვოლისზე აიტვირთა შესაბამისი ოქმი, სადაც დასაბუთებულია სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თითოეულ შემოსულ წინადადებასთან დაკავშირებით.

- სამართლებრივი აქტის **გამოცემა,** სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ: 2018 წლის აპრილი;

სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელია დაადგინოს კრიტერიუმები, განიხილოს შემოსული წინადადებები, ხოლო წინადადება, რომელიც არ აკმაყოფილებს მითითებულ კრიტერიუმებს (წარდგენილი წინადადება უნდა მოიცავდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილებაში შემავალ ტერიტორიას, წარდგენილი წინადადებება თანხვედრაში უნდა იყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის სფეროსთან, წარდგენილი წინადადების ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს.), არ გადავა ხმის მიცემის რეჟიმში.

- წინადადებებზე **ხმის მიცემის რეჟიმის** გააქტიურება: 2018 წლის მაისი - სექტემბერი;

მოქალაქეებმა მისცეს ხმა წარდგენილ წინადადებებს და გამოვილდა გამარჯვებული წინადადება **„ქალაქის გამწვანება“,** რომელიც განხორციელდება 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 24 აპრილის ბრძანება - **ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის - „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“-ს მართვის უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ** (თან ერთვის განაცხადის ფორმას).

შემოსული წინადადებების, მიცემული ხმების, სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გადადით შემდეგ ბმულზე: https://volis.ega.ee/gvolis/osale/index/81?kid=35494

ინფორმაცია „მონაწილეობითი ბიუჯეტი“-ს შესახებ ასევე ხელმისაწვდომია ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით: http://www.akhaltsikhe.gov.ge

პროექტი განხორციელდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის პარტნიორი ორგანიზაციების - USAID GGI-ს, IDFI - სა და ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიის მხარდაჭერით.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღეს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის რწმუნებულებმა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, რომელთაც უზრუნველყვეს შესაბამისი საინფორმაციო ფლაერების, ვიდეო რგოლის დამზადება და პროექტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, გამოყოფილი იქნა ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ვებ გვერდზე „მონაწილეობითი ბიუჯეტი“-ს ფუნქციონალის ოპერირებას, 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიში გათვალისწინებული იქნა 50 000 ლარი, გამარჯვებული წინადადების/პროექტის/ინიციატივის დაფინანსების მიზნით.

აღნიშნული პროექტი წარმოადგენს ესტონურ მოდელს. ჩვენ რეალობაში, პროექტის განხორციელებისას შეგვექმნა წინააღმდეგობა, კერძოდ:
წინადადებების/პროექტების/ინიციატივების წარდგენა მოქალაქეებს შეუძლიათ რეგისტრაციის გარეშე, ხოლო ხმის მიცემის ეტაპზე გადასვლისას, ესტონურ მოდელში ხდება მოქალაქეთა ვებ გვერდზე რეგისტრაცია ელექტრონული ID ბარათების მეშვეობით. ვებ გვერდზე არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზა, რაც რეალურად გამორიცხავს ხმების გაყალბების ან განმეორებით ხმის მიცემის შესაძლებლობას.

ამ ეტაპზე, ახალციხის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია შესაბამისი მონაცემთა ბაზა და ხმის მიცემის რეჟიმში გადასვლის მომენტიდან მოგვიწია გამოგვეყენებინა „google form“-ის შექმნა. აღნიშნული ფორმის საშუალებით, მოქალაქეებს შეყავდათ პირადი ინფორმაცია და ხმას აძლევდნენ მათთვის სასურველ წინადადებას, ხოლო თითეული მიცემული ხმა მოწმდებოდა მოქალაქეთა მიერ მითითებული პირადი ნომრით საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე „მონაწილეობითი ბიუჯეტი“-ს ვებ გვერდის ადმინისტრატორის მიერ, რაც გამორიცხავდა ხმის განმეორებით მიცემას ან ყალბი პირადი ნომრით რეგისტრაციას.

ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლისთვის აღებული აქვს სამი ვალდებულება და მათ შორის არის მოქალაქეთა მონაცემთა ბაზის შექმნა, რომლის განხორციელებასაც ახალციხის მერია უზრუნველყოფს USAID GGI-ს დახმარებით და შესაბამისად, მომავალ წელს მოქალაქეებს თავად ექნებათ

შესაძლებლობა შექმნან ანგარიშები უშუალოდ „მონაწილეობითი ბიუჯეტი“-ს ვებ გვერდზე და მისცენ ხმა მათთვის სასურველ წინადადებას.

8. მიღწეული შედეგი:

„მონაწილეობითი ბიუჯეტი“-ს 2018 წლის ციკლი დასრულებულია, შედეგად მუნიციპალიტეტმა მიიღო 78 წინადადება/იდეა, ხმის მიცემის რეჟიმში გადავიდა 40 წინადადება/იდეა და ხმის მიცემის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული წინადადება/იდეა, რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საშუალებით.

9. **მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:**

ესტონური მოდელის ზემოთ აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვანი და ინოვაციური მექანიზმია, მისი თითოეული ეტაპი ხორციელდება ელექტრონულად და სრულ თანხვედრაშია ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპებთან, იზრდება მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამავე დროს, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა ხდება უფრო მეტად გამჭირვალე და ანგარიშვალდებული.

პროექტი საშუალებას აძლევს მოქალაქეებს უშუალოდ და პირადად დაგეგმონ ადგილობრივი ბიუჯეტი, მათთვის ყველაზე პრიორიტეტული პრობლემებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ზრდის ნდობას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მიმართ, რაც ასევე, დეცენტრალიზაციის წარმატებული მოდელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია.

10. საკრებულოს როლი:

პროექტის დაგეგმვა, განხორციელება და ინიციატივის შერჩევა სრულად მხარდაჭერილია საკრებულოს მიერ და შეფასებულია დადებითად.

11. „მონაწილეობითი ბიუჯეტი“ - ს პროექტი განხორციელდება ყოველ წელს, შეიქმნება მოქალაქეთა მონაცემთა ბაზა, მისი პროცესი გახდება უფრო სრულყოფილი და ადგილობრივ რეალობაზე მორგებული.

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

ილია ზარდიაშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი, ტელ: 595 88 88 44, ელ.ფოსტა: izardiashvili@yahoo.com

ლევან მიქაბერიძე - მთავარი სპეციალისტი ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში, ტელ: 591 44 96 46, ელ.ფოსტა: levani@hotmail.co.uk

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 24 აპრილის ბრძანება - **ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის - „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“-ს მართვის უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

შემოსული წინადადებების, მიცემული ხმების, სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გადადით შემდეგ ბმულზე: https://volis.ega.ee/gvolis/osale/index/81?kid=35494